სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/40

ქ. თბილისი

29 ივლისი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2025 წლის 28 ივლისის №0000920813 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 29 ივლისის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1.1. სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური განისაზღვროს 18,0 საშტატო ერთეულით და სახელფასო ფონდით თვეში 22 900 ლარი;

1.2. ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი განისაზღვროს 9,0 საშტატო ერთეულით და სახელფასო ფონდით თვეში 11 700 ლარი;

1.3. ინფრასტრუქტურის განვითარების საუნივერსიტეტო სამსახური განისაზღვროს 24,0 საშტატო ერთეულით და სახელფასო ფონდით თვეში 36 700 ლარი;

2. სტუ-ის ადმინისტრაციის საშტატო განრიგი განისაზღვროს 323,0 საშტატო ერთეულით, ნაცვლად 325,0 ერთეულისა და სახელფასო ფონდით თვეში 481 900 ლარი, ნაცვლად 482 250 ლარისა;

3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შეტანილი ცვლილებები ამოქმედდეს 2025 წლის 01 აგვისტოდან;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**